№ 37

14 სექტემბერი

ᲘᲕᲔᲠᲘᲐ

ᲤᲐᲡᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲨᲐᲣᲠᲘ

1909 წ.

ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲓᲘᲡ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Гановская ул. д. № 6. К. П. Туманову.

იᲐᲮᲚᲝᲛᲘ „ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“ გამოდის ორშაბათობით, ცალკე № ღირს ᲧᲕᲔᲚᲐᲜ ᲔᲠᲗᲘ ᲨᲐᲣᲠᲘ. ნომერში მოთავსებული იქნება კვირა დღის ამბები და დეპეშები, რომელიც სხვა გაზეთებში სამშაბათობით გამოდის.

ᲤᲚᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲛᲐᲜ. ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲚᲔᲒᲕᲘᲗ 2 ᲛᲐᲜ.

სარედაქციო ნაწილის გამგე კ. Თ. ᲗᲣᲛᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

საზაფხულო თეატრი და ბაღი

(თავად-აზნაურობისა)

ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲝᲡ, 15 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ, გაიმართება

ᲡᲔᲘᲠᲜᲝᲑᲐ

და წარმოდგენა

საკონცერტო განყოფილებაა

წარმოდგენილი იქნება:

1. რუსულად „შე მოკვედი“, ფარსი ერთ მოქედ. მიკსნიცკისა.
2. ქართულად „შუქთა ნაკრა“, ვოდევილი ერთ მოქედ. ვ. აბაშიძისა.
3. სომხურად „უბედური დეპუტატ“, კომედია ერთ მოქ. ვ. აბაშიძისა.
4. საკონცერტო განყოფილება. დაწვრილებით პროგრამებში.

რეჟისორი გ. ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ.

ბავშვებისათვის სეირნობა დაიწყება 2 საათზე და გასტანს 5 საათამდე, მაიმართება სხვა და სხვა საბავშვო სათამაშოები, 5 საათის შემდეგ ყველასათვის გაიმართება სხვა და სხვა გასართობი, მაგალითად, „პტი-შვო“, რულეტკა, ტუმბოლაკები, რგოლების ჩამოცმევა, ფოტო ყვავილები, კონფეტი და სხვ.

ბაღში იქნება: **პროფეტორი**, დანიშნულია **შეცილება** (კონკურსი) სილამაზისა და ტანსამოსისა. გამარჯვებულნი მიიღებენ ოქროს „ медалს“ წარწერით. დასასრულ გაიმართება როტონდაში **ᲪᲔᲙᲕᲐ**. დაუკრავს **რუმინელთა ორკესტრი** და **საზანდარი**. ბაღში **შესვლა** 20 კ. ვინც წარმოდგენის ბილეთს იყიდის, ბაღში უფასოდ შევა.

დასაწყისი 8 ნახევარ საათზე.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

ᲡᲔᲖᲝᲜᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ

17 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ 1909 წ.

ᲝᲞᲔᲠᲐ **„ᲣᲘᲖᲜ ᲓᲐ ᲪᲐᲠᲘᲐ“**

ᲑᲘᲚᲔᲗᲔᲑᲘ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ.

ᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲘᲘᲡ თავად-აზნ. წინაამდოლის თან. აღმ.

სთხოვს გუბერნიის თავ.-აზნ. მობრძანდენ

ᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲗᲐ ᲐᲠᲐ ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕ ᲙᲠᲔᲑᲐᲖᲔ

რომელიც მოხდება ამა თვის 15, ტფილისის დეპუტატთა საკრებულოში (ბელინსკი № 2) დღის 11 საათზე. **გასარჩევი საგნებ-:** სახელმწიფო საბჭოს წევრთა არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად ორ წარმომადგენელის არჩევა.

ᲑᲐᲦᲘ ᲠᲔᲡᲢᲝᲠᲐᲜᲘ „ᲘᲣᲟᲐᲜᲔ“ (სამხრეთელები)

დვორკოვის ქუჩა, თავად-აზნაურობის თეატრთან—ბაღში. ყოველ დღე დაუკრავს დღისით 2—4 საათამდის და საღამოს 9—2 საათამდის თფილისის საზაფხულო თეატრის საოპერო ორკესტრი ბ-ნ **პ. ფალიაშვილის** ხელმძღვანელობით. სადილი ორი ბლუდიდან ეღირება - 60 კაპ. 3-დან 80 კ. 4-დან—1 მან. აქვე არის საჭმელების სია და პრეისკურანტი ყველანაირის საგნებისა.

ფასები ხელმისაწვდომია.

შესვლა უფასოა.

ᲙᲐᲤᲔ ᲞᲐᲠᲘᲖᲘ

ტფ. თავად-აზნაურობის თეატრის ეზოში

(Дворцовая ул,)

ჩაი, რძე, ყავა, შოკოლადი, კაკაო პირაფოკები, ბუტერბორტები (15 კაპ. და მეტი)

ᲮᲐᲭᲐᲞᲣᲠᲘ

ᲪᲘᲕᲘ ᲓᲐ ᲪᲮᲔᲚᲘ ᲙᲚᲘᲠᲘᲡᲐᲜ 25 კ. ᲓᲐ ᲛᲔᲢᲘ

სასმელი წყლები

ᲚᲣᲓᲘ, ᲡᲐᲓᲐᲠᲘ

ᲤᲐᲡᲔᲑᲘ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲝᲛᲘᲐ

სისუფთავე და კარგი სამსახური

ეკისრულობ სოფლის და ქალაქის მამულების

ᲓᲐᲒᲘᲠᲐᲕᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲒᲘᲠᲐᲕᲔᲑᲐᲡ

ადრესი: г. Тифлисъ ул. Бѣлинскаго, бывш. Кирпичная д. № 19. кв. кн. Херхеулидзе.

ნახვა შეიძლება ყოველ დღე, დილის 8½—10 საათამდის—საღამოობით 5—7 საათამდის. შეიძლება წერილობითაც.



Кавказский натуральный Конъякъ Д.З. Сарадже въ Тифлисъ № 25 О.С. (Очень Старый)

ქართული ხალხური სიმღერები და

ᲚᲔᲥᲡᲘᲔᲑᲘ

გამოვიდა და იყიდება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. ლექსები შეკრებილი და ნოტებზე დაწყობილი. კარგარეთელის მიერ. წიგნის ფ. 50 კ.

ᲐᲙᲪᲘᲖᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲪᲕᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ᲧᲕᲔᲚᲐ ᲗᲐᲛᲑᲐᲙᲘᲡ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲖᲔ

50 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲗᲘᲗ ᲓᲐ 50-ᲖᲔ ᲛᲔᲢᲘᲗ

და თამბაქოს გემრიების ვამი

ᲑᲝᲖᲐᲠᲯᲘᲐᲜᲪᲘᲡ

ფაბრიკამ დევიზათ გაიხადა: როგორც წინათ, ეხლაც მაღალი ღირსების პაპიროსები გამოუშვას და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს.

СИМПАТІЯ № 8 | 10 шт. 6 к. | НАРОДНЫЯ ЭКОНОМІЯ | 10 шт. 4 к.

ასეთი უმნიშვნელო ფასის მომატებით ფაბრიკასაც საშუალება ეძლევა გამოუშვას მუდამ **მაღალ ღირსების** პაპიროსები და მომავალში ეცდება მათ გაუმჯობესებას, რომ ამით გაამართოლოს და გაამაროს ფირმამ თავისი დამსახურებული **ᲜᲓᲝᲑᲐ** 50 წლის განმავლობაში ჩვენი ფაბრიკის პაპიროსების მყიდველთა თვალში.

ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ: ამ ცნობით (და არა რეკლამით) ბოხარჯიანცის ფაბრიკას სურს გააცნოს პატივცემულ საზოგადოებას საქმის ახალ, ნამდვილ მდგომარეობას.

970 სტ. აქცზ. უსტ. ძალით, ზემოაღნიშნულ პაპიროსების მიტ ფასში გაყიდვა, რაც მათ აწერია აღკრძალულია.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ

✦ ტფილისის სასინოდო კანტორაში სინოდის განკარგულება მოვიდა, რომლის ძალითაც ეკრძალებათ ღვდლებს უფროსების ნებადაურთველად ჯვარი დაწერონ ფიცრებს.

✦ **ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ.** შაბათს, 12 სექტ., ქართულ თეატრში გაიმართა ქართული წარმოდგენა „დალატი“. ამ წარმოშობილ, ქვეთარაგმ, ᲬᲐᲛᲘᲦᲝᲚᲘ ᲮᲣᲗᲐᲢᲐᲫᲔᲛ, ᲮᲣᲗᲘᲗᲒᲘ ᲪᲘᲪᲜᲘᲡ ᲛᲝᲛᲙᲕᲓᲠᲘᲜᲘ ᲑᲐᲮᲢᲐᲫᲔᲛ,—ᲮᲣᲗᲘᲗᲒᲘ ᲪᲘᲪᲜᲘᲡ ᲛᲝᲛᲙᲕᲓᲠᲘᲜᲘ არიან. ეს პიესა ქართულ და რუსულ სცენაზე ტფილისში საზოგადოებას რამდენჯერმე უნახავს და ამიტომ შეეძლო შეედარებინა ახალ პირების თამაში ჩვეულებრივ მსახიობების თამაშთან. ერთის მხრივ ახალგაზდა, განათლებული სცენის მოყვარენი, მეორეს მხრივ კი გამოცდილი მსახიობები. ქ. ჩირგაძემ, ზენინბის როლში, დამსწრეთა აღტაცება გამოიწვია,—ასეთი ზენინბი ქართულ სცენას ჯერ არ უნახავს. მიხეკრა-მოხეკრა და კოლო მის თამაშს ამშვენებდა და ხელს უწყობდა 1-ლ მოქ. უკანასკნელ მოქმედ. მისი მშვენიერი შეხედულებაც უხდებოდა როლს. ეტყობა, რომ იგი შემდეგში ქართული დასის საუკეთესო წევრი გახდება. ამბობენ სცენაზე მოდვაწეობა არ სურსო, დიდათ სამწუხარო იქმნება, ასეთი ძალა თუ არ შეეძინა ქართულ სცენას. ამბობენ, რუსეთში წასვლას აპირებს სწავლისათვისო, ჩვენ კი გვგონია, რომ რაკი რუსეთში ქართული დამატოული კურსები არ არის, ამიტომ ჯერ ერთნაირით სცენაზე უნდა გამოიწვრთნოს ახალგაზდა მსახიობი და შემდეგ ნიჭის განსავითარებლად წავიდეს სასწავლებელში—იქ ყოფნა მაშინ მისთვის ნაყოფიერი იქმნება. დანარჩენებიც კარგად მოაზადებულან ამ წარმოდგენისთვის: ყველამ შესაფერი ნიჭი გამოიჩინა.

სახოგადოება ბევრი იყო, მსახიობებს დიდის ტაშის ცემით ეგებებოდენ.

უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე, რომ პიესა შეტად მოხდენილად იყო დადგმული.

✦ დუშეთის საქმის გარჩევა ხელახლა დანიშნულია ტფილისში 22 სექტ.

✦ ტფილისის ქალთა უმაღლეს კურსებზე 160 ქალი მიუღიათ.

✦ სამსახურიდან გადაყენეს სამხედრო საკრებულოს საქმის მწარმოებლები: ტფილისის დოდევეი, თელავის თავ. ანდრონიკაშვილი და სიღნაღის როსტომაშვილი.

✦ დღეს, 14 სექტ., ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლში სტუდენტი პეტრუსოფი სახოგადოების თხოვნით გიმნაზიზმის შესახებ ლექციას წაიკითხავს. დასაწყისი 11 საათზე.

✦ **ტერიოკი.** ცეცხლი გაუჩნდა სასტუმროს, რომელიც ჭერკეზ ᲨᲢᲐᲢᲘᲜის მოკვლის საქმით ცნობილი არის. მიზეზი არ იცით.

✦ **ᲘᲠᲙᲣᲢᲡᲚᲘ.** მცარცველებმა ლოსეევის სახლიდან მოიტაცეს 50,000 მან.

✦ **ᲛᲣᲚᲔᲜ** (საფრანგეთი). დირიჟაბლი (რეპუბლიკი) აფეთქდა, ჩამოვარდა და დაიმსხვრა. ოთხი კაცი მოკვდა.

✦ **ᲑᲐᲗᲣᲛᲘ.** ამბაკო კაკაბაძის სახლში ცეცხლი გაჩნდა, რომელიც მეზობელ სახლებზე გადვიდა. ცეცხლის მქრობელმა რაზმმა დროზე მოუსწრო ცეცხლს და ჩააქრო იგი.

✦ **ᲡᲔᲘᲠᲜᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲐ.** სამშაბათს, 15 სექტემბერს ქართულ სათავადაზნაურო ბაღში დანიშნულია დიდი სეირნობა ხოლო თეატრში კი წარმოდგენა: წარმოდგენილი იქნება 1) რუსული ᲓᲔᲞᲔᲨᲘ „ᲓᲐᲚᲐᲢᲘ“ და საკონცერტო განყოფილება სეირნობა დაიწყობა საღამოს 4 საათზე, წარმოდგენა 8 ნახევარ. საათ.

თბილისი, 14 სექტემბერი.

ჩვენში არა ერთხელ ყოფილა ლაპარაკი ეგრედ წოდებულ პრაქტიკულ მუშაობაზე,—ამ მუშაობას უპირდაპირებენ პოლიტიკურ პრობაგანდას.

ეს ლაპარაკი დღესაც კიდევ ლაპარაკად რჩება, სიტყვამ ხორცი ვერ შეისხა, საქმე დღესაც გაუკეთებელი რჩება.

რა არის ამის მიზეზი? მიზეზი ის არის, რომ პოლიტიკურმა აგიტაციამ იმ სახით, რა სახითაც იგი სწარმოებდა ჩვენში, გარყვნა ხალხი და ამით ნიადაგი მოუსპო ყოველგვარ პრაქტიკულ მეცადინეობას. სადაც ხალხი პრაქტიკულ მოქმედებას ალმაცერად უცქერის, სადაც ხალხის „მეთაურები“ ამნაირ მოქმედებას ხელს არ უწყობენ,—იქ საქმე არ გაკეთდება... უნიადაგო პარტიულ პროპაგანდით გზა დაბნეულ ხალხს თვალი უნდა აეხილოს, ამისათვის ᲯᲔᲠ-ᲯᲔᲠᲝᲑᲘᲗ მაინც საჭიროა იდეური ბრძოლა ჩვენში მომქმედ პოლიტიკურ პარტიებთან, ამ ბრძოლით ნიადაგი უნდა მოიმზადოს ჩვენი ხალხის ცხოვრებაში ახალი ხანის დასადგომად, იმ ხანის, რომლის დამახასიათებელი იქმნება პრაქტიკული საქმიანობა, საკუთარ ეროვნულ ინტერესებზე ზრუნვა, ნამდვილი საღი ეროვნული მმართველობა...

მაგრამ იმისთვის, რომ იდეურმა ბრძოლამ მაღე და შესაფერი ნაყოფი გამოიღოს საჭიროა მისი დაახლოვება ცხოვრებასთან, საჭიროა პრაქტიკულ საქმიანობისათვის შესაფერ გეგმის შემუშავება და იმ საჭიროებათა აღნიშვნა, რომლის დაკმაყოფილებას უმთავრესი ყურადღება უნდა მიაქციონ ჩვენმა საზოგადო მოღვაწეებმა.

მართალია, ჩვენში მოქმედობს რამდენიმე დაწესებულება, რომელიც პრაქტიკულ მიზნებს ისახავს, არის წ.-კითხვის საზოგადოება, არის საადგილ-მამულო კომისია ტფილისში, არის დრამატიული საზოგადოება, სახალხო უნივერსიტეტის სექცია და სხვა, მაგრამ ყველა ამ დაწესებულებების მოქმედებას აკლია სისტემა, აკლია ერთი დიდი აზრი, ყველასი შემაერთებელ-შემაკავშირებელი, აკლია ნათლად დასახული და შემუშავებული ეროვნული მიზანი...

ეს მიზანი აშკარად და თამამად უნდა იყოს წამოყენებული: წ.-კ. საზოგადოება, საადგილ-მამულო კომისია, დრამატიული საზოგადოება, სახალხო უნივერსიტეტის სექცია,—რისთვის არსებობს ყველა ეს დაწესებულებები, რა მიზანს ემსახურება, რა მიზანს უნდა ემსახურებოდეს?

პასუხი ცხადია,—ყველა ეს დაწესებულებები მხოლოდ ხალხის სასიამოვნოდ და დროს გასატარებლად არ არის დაარსებული, ყველას უნდა ჰქონდეს ერთი მიზანი,—ქართველ ერის კულტურული განვითარება.

ერის კულტურული განვითარება არ შეიძლება, თუ იგი ქონებრივად უზრუნველ ყოფილი არ იქმნა, ქონებრივი უზრუნველყოფა თავისთავად კულტურას ვერ შექმნის, თუ ერი გონებრივად არ განვითარდა, სულიერად არ ამაღლდა...

ამიტომ საჭიროა ზრუნვა ქართველ ერის ქონებრივისა და გონებრივ განვითარებაზე და ყველა ქართული დაწესებულება ამ მიზანს უნდა მიზდევდეს.

ამ მიზანს მართლაც თითქო ისახავს ყველა ხსენებული დაწესებულება, საქმით კი ამ მიზნის განხორციელებას ვერ ახერხებს.

ავიღოთ წ.-კ. საზოგადოება, სხვისი ნამოქმედარის გარჩევა, რასაკვირველია, აღვილია და საქმის შესრულება კი ძნელი, ჩვენც ამიტომ შეიძლება გვიადილდება წ.-კ. საზოგადოების კრიტიკა, მაგრა ვთქვათ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐ ᲐᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲓᲐ ᲛᲘᲖᲜᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲕᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲒᲝᲜᲔᲑᲠᲘᲕ ᲡᲐᲮᲚᲗᲐᲖᲔ ᲩᲕᲔᲜᲐᲚᲐᲓ ᲩᲕᲠᲣᲜᲐᲕᲡ, ᲓᲐ ᲗᲣ ᲩᲕᲠᲣᲜᲐᲕᲡ ᲣᲡᲘᲡᲢᲔᲛᲝᲡᲐᲓ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ.

მართლაც დაეკვირდით თუნდ წ.-კ. საზოგადოების ნამოქმედარის ორ მხარეს—სასწავლებლებს და გამომცემლობას. ეროვნულ აღორძინების მიზანს რომ ემსახურებოდეს ეს საზოგადოება იგი უთუოდ უმთავრეს ყურადღებას მიაქცევდა იმას, რასაც ერის ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს,—ტერიტორიას. ქართველების ეროვნული ტერიტორია არ უნდა დაიკარგოს, იქ, სადაც ქართველი ცხოვრობს, ქართული ენაც უნდა ისმოდეს, საქართველოს რომელ კუთხეშიაც უნდა ცხოვრობდეს ქართველი, მართლ-მადიდებელი იქმნება იგი, კათოლიკე, გრიგორიანი, თუ მაჰმადიანი, იგი თავის თავს საერთო მშობელ ერის შვილად უნდა გრძნობდეს და თვალ-ყური უნდა ადევნოს იმას, რაც მის სამშობლოში ხდება, მას გული უნდა ეღვიოდეს ეროვნული გრძნობა.

ეს ეროვნული გრძნობა უფრო სუსტია საქართველოს აღმოსავლეთ ნაპირზე, იქ, სადაც ერთის მხრივ მაჰმადიანობა და მეორეს მხრივ სომხობა აწვება მის საზღვრებს და ფეხსაც იკიდებს. ქართველი ერი, რომელსაც კავკაზიაში კულტურულ ერად მოაქვს თავი და რომელიც წინეთ მართლა კულტურული იყო, დღეს დაქვეითდა იმდენად, რომ მის კულტურას სჯობნის, სძლევს მაჰმადიანთა კულტურა. ქართველ მაჰმადიანებში მაჰმადიანობა ქართველობაზე უფრო ძლიერი გამოდგა, სარწმუნოებრივი გრძნობა ეროვნულ გრძნობაზე უფრო ძლიერი... ამიტომ მაჰმადიანი ქართველები ისე რიგად არ ეტანებიან ქართულ ენას და ოსმალეთისაკენ უფრო იქერენ თვალს ვიდრე დანარჩენ საქართველოსკენ. წ.-კ. საზოგადოების მთელი მეცადინეობა ამ მაჰმადიან ქართველებისკენ უნდა ყოფილიყო მიქცეული, აქ უნდა დაარსდეს სასწავლებლები, ერთი და ორი კი არა, ათი და ოცი და კიდევ მეტი სასწავლებელი, აქეთ უნდა იგზავნებოდეს მოგზაური მა-

სწავლებლები, აქ უნდა ეარცელდებოდეს ქართული წიგნები. აქ უნდა მოუაროს ეროვნულ საქმეს წ.-კ. საზოგადოებამ, რადგანაც სწორედ ეს ეროვნული საქმე განსაცდელშია.

მოყმეში ქართველების გავლენა მოისპო,— წინეთ იქ ხალხი საქართველოს კულტურულ გავლენის ქვეშ თუ იმყოფებოდა, ახლა ეს გავლენა მოისპო, ქართველმა ადგილი დაუთმო აქაც ერთის მხრივ მაჰმადიან კულტურის გამავრცელებლებს, მეორეს მხრივ კი ჩრდილოეთიდან გადმონახეთქ რუსეთის კულტურას, ადგილი დაუთმო უბრძოლველად, უსიტყვოდ, დაუთმო ადგილი თითქო წინ და წინვე დარწმუნებული იყო თავის დამარცხებაში.

წ.-კ. საზოგადოებამ ეს ბრძოლა უნდა განაახლოს და იკისროს. ქართველ ერს შეუძლია მიიღოს, მას ეკუთვნის კულტურული ჰეგემონია მთებში მცხოვრებ მრავალი სხვა და სხვა ერისა, ამ ჰეგემონიის მიღება ხსენებული ერებისთვისაც უფრო სასარგებლოა, ვიდრე მაჰმადიან ან რუსული კულტურაში გათქვეფა. ამ ერების მწიგნობრობაზე რუსის ხალხი რად უნდა ზრუნავდეს და არა მეზობელ ერის კულტურული დაწესებულება, ამ დაწესებულებამ რად არ უნდა გაავლიოთს ხსენებული ერებში კულტურისადმი მისწრაფება, ამ მისწრაფების საშუალებით რად არ უნდა აიფეთქოს მათს გულში ეროვნულ გრძნობის ნაპერწკალი, რომელიც შემდეგ ალად იქცეს და თავისუფლების მოყვარულ მთიულებს ქართველების საუკეთესო პოლიტიკურ მეგობრებად გახდის?

მთიულების ეროვნული გამოფხიზლება, მათი კულტურული ზრდა ჩვენთვის, ქართველებისთვის, ისევე სასარგებლოა, როგორც ჩვენი საკუთარი გამოფხიზლება.

ან დააკვირდით წ.-კ. საზოგადოების გამოცემულებას. სახელმძღვანელოებს გარდა რას აწვდის იგი ქართველობას? ორიოდე საიუბილეო გამოცემა ნუ თუ კმარა და ნუ თუ ამ გამოცემებს მოითხოვს ქართველ ერის ახლანდელი მდგომარეობა? ქართველებს დღეს კიდევ არა გვაქვს ხეირიანი და ადვილად საკითხი საქართველოს ისტორია, არა გვაქვს მეცხრამეტე საუკუნეს ისტორია, არ მოგვეპოვებს ახლანდელ საქართველოს აწერა. ამიტომ ქართველების უმეტესობამ საქართველოს არც წარსული იცის, არც აწმყო,— წარსულისა და აწმყოსი გაუცნობლობა მომავლის იმედსაც უსპობს, უკეთეს მომავლისთვის საბრძოლველად არ ახალისებს... ფართო მასსების რა ვთქვათ, როდესაც ეს ცოდნა თვით განთლებულ ქართველოობასაც აკლია. აბა ჰკითხეთ ტფილისელ ქართველს იმერეთის ამბავი, ჰკითხეთ გურია-სამეგრელოს ავ-კარგი,—პასუხი გაგიკვირდებათ. ასევე გაგიკვირდებათ იმერლის უვიცობა და ქართლ-კახეთის თუ მთიულეთის გაუცნობლობა. როგორ უნდა იცნოს მეგრელმა და კახელმა ერთმანეთი იმავე ერის შვილად და ერთმანეთის ჯერ-ვარამი საკუთარივით იტკივოს, როდესაც ორივეს ერთმანეთის უბრალო ცნობაც არა აქვს!.. მისცეა მოსცეა ზშირი არ არის, მიუსვლელად კი რომ უნდოდეს საქართველოს რომელიმე კუთხის გაცნობა ადამიანს,—არ შეუძლია; საამისოდ რამე წიგნი თუ სახელმძღვანელო დღემდის არავინ აგან არ არის გამოცემული.

მოკლე ისტორიულ და გეოგრაფიულ ცნობების გავრცელება საქართველოს სხვა და სხვა კუთხის შესახებ ჩვენ აუცილებელ საჭიროდ მიგვაჩნია და ეს საქმე უთუოდ და დაუყონებლივ უნდა იკისროს წ.-კ. საზოგადოებამ.

ეროვნულ იდეის მიხედვით ჩვენ შეგვიძლია ამავე საზოგადოებას კიდევ სხვა საქმეებიც ვუჩვენოთ ასასრულებლად,— მან მაგალითად უნდა შემოიტანოს სისტემა მთელ ქართულ მწიგნობრობაზე,— მას შეუძლია სიცოცხლე ჩაბეჭდოს ქართულ წიგნების კერძო გამომცემლობას იმით, თუ იკისრებს და პროვინციებში წიგნების გამყიდველ აგენტურას მოაწყობს, მას შეუძლია ხელი შეუწყოს ქართულ ენის გავითარებას სამისო კომისიების მოწყობით, პრემიების დანიშვნით მას შეუძლია მწერლობის გამოცოცხლება, ვინ დასთვლის ყველა იმ საქმეს, რომლის ასრულება მას შეუძლია, რომელიც მას უნდა შეეასრულებინა და რომელსაც იგი არ ასრულებს. არ ასრულებს იმიტომ რომ მას გარკვეული ეროვნული იდეალები წინ არ მიუძღვის

და ძლიერი ეროვნული გრძნობა გულს არ უტკაივს.

რამდენად მოკლებულია ეს საზოგადოება ყოველგვარ ეროვნულ მისწრაფებას, ნათლად სჩანს ზუბალაშვილებისაგან გადმოცემულ სასტიპენდიო ფულების განაწილებაში. ეს სტიპენდიები წ.-კ. საზოგადოებამ იქ დანიშნა, სადაც ქართველებისთვის უფრო საჭიროა? ქართველებს მაგ. თუ გვაკლია სპეციალისტები სასპეციალო სასწავლებლებში მოსწავლეთ მისცა ან სტიპენდიები, — და ამასთან მოსპო სტიპენდიები იქ, სადაც ისედაც ბევრია ქართველი სტუდენტი? სტიპენდიებს ისეთ პირებს აძლევენ, ვინც ნამდვილი მშრომელი და ამიტომ ქართველი ერისთვის გამოსადეგი იქმნება? არა! სისტემა ამ საქმეში არა სჩანს, ეროვნული მიზანი საზოგადოების მოქმედებას არ ასულდგმულებს.

და განა მხოლოდ წ.-კ. საზოგადოებაა ეროვნულ მისწრაფებას და საამისო სისტემას მოკლებული? ქართველების ყველა დაწესებულებას ესევე უბედურება სჭირს და ამიტომ ქართველების ყველა დაწესებულების მოქმედება ერისთვის თითქმის უმნიშვნელოდ და უსარგებლოდ რჩება.

უსარგებლოდ დარჩება იგი შემდეგშიაც, თუ არ დავაწიეთ თავი ახლანდელ უსისტემობას და ეროვნულ მიმართულების პრაქტიკულ გეგმა თუ არ შევიმუშავეთ.

ამაზე შემდეგ.

კ. თუმანიშვილი

მწარე შთაბეჭდილებანი.

დიდი ხანია რაც ჩვენს ქვეყანაში გაჩნდა ერთნაირი მოძღვრება და ერთ ნაირი ხალხი ეითომდა მარქსისტები, რომლებმაც ასე თუ ისე, ამა თუ იმ პირობებში შეჰქნეს ისეთი ავტორიტეტი უბრალო ხალხში, რომლის გადაქმნა და გადაკეთება მხოლოდ და მხოლო დროს თუ შეუძლია, იმ დროს, როდესაც შეგნება განვითარება გიდგამს ფეხს ამავე უბრალო ხალხში, თორემ ისე ყოველივე შრომა, სიტყვა და წერა უბრალოა და თითქმის უმნიშვნელო.

აბა როგორ უნდა დაეჯეროთ თქვენ დღეს ჩვენის ქვეყნის მოგვაჯერეთა შეგირდებს, სასტუმრო-რესტორნების მოსამსახურეებს და გინდ ქარხნის მუშებს, რომ უალაგო და უზომო გაფიცვას, უანგარიშო და გარდამეტებულს მოთხოვნილებებს, როგორც ხაზინებისთვის ისე მოსამსახურე, შეგირდებისა და მუშებისთვისაც ზარალი მოაქვსო, რიცა მას კარგად ახსო

ეროვნული ბიბლიოთეკა

როს მან, ვისთვისაც ეს ხელ-საყრელია და მოსწონს. მე არა მცირე რიცხვი ვიცი ისეთი მშობლებისა, რომლებიც ზოგი მედროგეა, ზოგი მეურმე და სახოგადოთ უბრალო და ღარიბი მუშა, რომლებიც თავსა და ბედს იწყევლიან, რადგან მათმა „განათლებულმა“ ქალებმა ყოველ თვეში „მოდის“ კაბები მოსთხოვეს და ბატონებათ გაუხდიათ თავიანთი შვილები, იმის ნაცვლად, რომ დახმარება გაეწიათ თავიანთ ხელ მოკლე მშობლებისათვის. ჩვენ მიერ დასახელებული სასწავლებელი არც შედიარსა და დიდი ოჯახიშვილს აწყენს და ღარიბთათვის ხომ ზედ გამოჭრილია და სახოგადოთ ჩვენთვის დიდი დაუფასებელი მნიშვნელობა აქვს.

სიამოვნებთ უნდა აღენიშნოთ, რომ ამ ბოლო დროს ქუთაისში ხშირად ხსენან ამნაირ შკოლებს, თუმცა არა ისეთ სრულს როგორც ჩვენ გვაქვს სახეში. ამათში პირველი ალაგი უპირავს და ბრწყინავს ქ-ნი ეკვანია წინამძღვარიშვილი-ყორანიის პროფესსიონალური შკოლა, რომელიც ათ წელზ მეტია არსებობს და თავის ნაყოფიერის შრომით დიდი დამსახურება და ღვაწლი მიუძღვის ჩვენი სახოგადოების წინაშე. აქ ასწავლიან: ჭრა-კერვას, ქარგავს მრავალნაირად, ამოსითვას (ГЯЛЬ), ნოხისა და ფარდაგების ქსოგას და სხვა მრავალს, რის ჩამოთვლა ჩვენ არ ძალგვიძს და მკითხველს ვურჩევ თავის თვალით დაათვალიერონ, რომ დასტკბეს საუცხოო ხელსაქნარების ხილვით. როცა ათვალერებ აქ დამზადებულ ნივთებს, თვალს არ უჯერებ, რომ ეს ადგილობრივი ნაშუშერია და გული სიამოვნებით გეცსებათ. თქვენს აღტაცებას ის აორკეცებს, რომ მოსწავლე ქალები განირჩევიან სიმშვიდით, საქმის სიყვარულით და სიღინჯით. ერთის სიტყვით ამათ ატკვიათ მადლიანი ხელი ამშზრდელისა.

ჯერ-ჯერობით სხვებზე ამას ვერ ვიტყვით, ადრეა და ვუსურვებთ წარმატებას, რაიცა ჩვენთვისაც ასე სასიხარულოა და სასურველი, როგორც მათთვის.

Ე...

ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

ᲡᲘᲜᲯᲛᲐᲠᲘ

(ᲪᲣᲓᲘᲡᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲞᲣᲚᲐᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ).

... ვიტანჯებოდი, ვწვალობდი!..

ვერ ამეტანა ამ ქვეყნის სივიგლახეს... დიდხანს ვიმმდი, დიდხანს ვიმაგრებდი გულს ბრძოლის ველზე, მაგრამ.... მე ის არ ვიყავ, რომელიც... „ერთიც მეომარია მინდორში“... არ ვიცოდი ყველანი ჩემს წინაღმდეგ გამოლაშქრებულიყვენ, თუ მე გავლაშქრებულიყავ მათ წინაღმდეგ...

რატომ?.. რისთვის?..

მე თვითონ არ ვიცოდი!..

შეიძლება იმიტომ, რომ ვერ მეპოვნა აქ, ცხოვრებაში ის სიტკბოება, ის ნეტარი, რომლისათვისაც ვცოცხლობთ, ვიტანჯებით და ვიხოცებთ, სხვთა ახალგაზრდას, გული უკვე დამეკნობოდა, ვინაიდგან ვერ ღირსებოდა განმაცხოვლებელ სინოყიერეს...

ვით კოკორი ნორჩი, გაუფურჩქნავი ელის ციურ ნამს, რათა ჩაიკონოს იგი, შესწოროს თვისი ქალწულობა, გაიფურჩქნოს და გადიშალოს გული თვისი, იმგვარათ მე ველოდი მას, ვინც წამიძღვებოდა წინ, ცხოვრების შეუზღუდავ მოლვარებაში, სასოწარკვეთილების დროს აწგელოზისებური ნაზი სახით დაატკბებოდა ჩემს დაღლილ სმენას, და გაეაქრწყლებდა მწარე ნაღველს.

მაგრამ ცბიერებისა და ულმობელობის მეტი არაფერი მეკარებოდა, თითქოს მთელი ქვეყანა მათი სამკვიდრო ყოფილიყვეს:

მსურდა სიხარული—მაწვდიდენ მწუხარებას,

მსურდა სილამაზე—მაწვდიდენ სიმაინჯეს,

მსურდა სიტკბოება—მაწვდიდენ შხამს,

მსურდა ნეტარება—მაწვდიდენ ტანჯვა-წვალებას,

მსურდა სიყვარული—მაწვდიდენ სიძულვილს,

მსურდა ქვეყნისათვის სიკეთე, მაგრამ მას მტრულად შეხვდენ და მეც ყველანი მტერი გავხდი...

მტრები მე და ყველანი...

განა იმისთვის რომ გავიმარჯვო?—არა! კიდეც რომ გავიმარჯვო, ყველანი გავწყვეტო, მაშინ ხომ მარტო მე დავრჩი და ამ მდგომარეობაში ხომ ეხლაც ვიმყოფები!..

ვიმმდი, რათა დრო გამეტარებია ან სიკვდილს შევყოფოდი!..

ახლოს არაკინ მეკარებოდა; შორიდან მცემდენ... ისევ ცბიერებით, ისევ მოტყუებით...

ჭრელობებისაგან დასუსტებული, ვეგდე ძრს და ვკვდებოდი .. გული მდოდნდებოდა, გრძნობას თანდათან ვკარგავდი...

დალურჯებულ ბაგეთაგან წყვეა-კრულვა ამომდიოდა... წარსული უფერო იყო, აწმყო კი ჯურღმულისაებრ სიბნელით მოცულიყო; არსაით სინათლე არა სჩანდა, არსაით სიხარულის ხმა არ მოისმოდა...

მხოლოდ ჩემი ტანჯული სულის ხრიალი და ისმოდა... ის იყო უნდა გაეთავებულიყავ, როდესაც ჩემს გარშემო ყველაფერი გაბრწყინდა; სხივებმა დახუჭულ ქუთუთოებს გაატანეს და თვალებსა მჭრიდენ ელვარებით. გავახელე თვალები და დავინახე... არა, ვიგრძენი, დანახვა მისი არ შეიძლებოდა:

სხივ მოსილი, გაშლილი ქუჩუჩა თმებით მხრებზე. ჩემს წინ იდგა შეუფარებელი მშვენება... გიშერივით შავს თვალებს, რომელნიც ზღვის ტალღასაებრ ღელავდენ და იწვევდენ მღელვარებას მაცქერალთა შორისაც, იკავდნ ხშირი—ლუკუმი ღაწვ-წარბები; ლალის ბაგენით შემკულს ბადრს სახეს მკრთალი ღიმილი გადაჭარავდა... ლალის ბაგენი შეინძრენ და გამომაღვიძეს ბროლის კბილები, რომელთაც გზა დაუთმეს თვალმარგალიტად ქცეულ სიტყვებს!..

„ადამიანო, სასოწარკვეთილებამდის მისულო! მისმინე მე! შეიმაგრე თავი, დაიმშვიდე გული და განთავისუფლე ბაგენი შენნი წყევა-კრულვისაგან...

ვისაც შენ ებრძოდა, ისინი დამნაშავენი არ არიან.. ვინც მტრად მიგაჩნდა, ისინი მოკეთენი იყვენ... დამნაშავე თვით შენა ხარ, რადგანაც ყველაფერს სხვანაირად უყურებ, ვიდრე როგორც უნდა...

სიკეთე—სიგლახედ მიგაჩნდა, ბედნიერება—უბედურებად. ბედი—ნეტარება, რომლის ძებნასაც მთელი შენი სიცოცხლე შესწირე და ვერ ეღირსე, ძღიერ ახლო იყო შენგან, სულ ადვილი მისაწვდომი იყო შენთვის; ვისი ბრალია, რომ შენ ვერ დასჯერებულხარ მას, რასაც განგება გაძღვეს!..

ეხლაც, აქვე ახლო არის ბედნიერება!...

აღსდექ! განდეგენ შენგან სასოწარკვეთილებას... მოიცილე ნადველი...

მშვენიერების ხმის არაჩვეულებრივ ჰანგებით გატაცებულს გონება მიმებნია, დავიწყებას მივეცი, მინდოდა მოდამ ამ ხმის სმენა, მაგრამ... უეცრად გულმა ტოკვა იწყო, იარები გამიმთელდა, ძალა გამიორკეცდა, წამოვიწიე ზე და ამ დროს ვიგრძენი ნეტარება, რომელსაც ჩემი მთელი სიცოცხლე დავეძებდი...

აღგზნებული ბროლის ბაგენი მიეკარენ ჩემს დალურჯებულ ტუჩებს, რომელსაც მაშინვე აღი მოეღო; ტანში ისეთმა ჟრუანტელმა დამიარა, თითქოს ცეცხლმა გაირბინა ძარღვებში სისხლის მაგივრად. ვერ შეეიმაგრე თავი და აღფრთოვანებულმა შეესძახე: „შშვენიერო გმადლობ ამ წუთისთვის,—მითხარ ვინა ხარ, რომ შენზედ ვიღოცოო“... სიტყვების დამთავრება ვერც კი მოვასწარ, რომ უეცრად ყველაფერი გაჭქრა... ისევ ღამის წყვდიადი ჩამოვარდნილიყავ და ოთახის შუაგულს დაჩოქილი ჰაერს ვეხვეოდი...

მეორე ოთახიდან კი, სადაც სტუდენტები სცხოვრებდენ, გამოდიოდა ცალკე ცალკე ფრაზები წუხელ დაწყებულ დებატებისა...

ფილოლოგის ხმა ისმოდა... არა ვანო, სცდები. იყავ ისევ იდეალისტი! კმაყოფილიყავ საფრთხოულებით, თუ აქაური ბედნიერება გსურს, თუ არა ღროზე მოსცილდი აქაურობას, რადგან მთელი ჩვენი სიცოცხლე—არაარობაა“!

ᲙᲝᲠᲓᲔᲚᲘ

ᲝᲒᲝᲚᲘ

მომშორდი ნუღარ ნაწუხებ,
წყეულო მამინაცვლო,
ჩონჩხი ვარ ხორცი არ მაკავს
გსურს სულიც ამომცალო?
შენთან ამტენ ხანს მონებამ
მამული გამიტაცა
ველარ ავიტან მონებას
აიცსო თმენის ფიალა.
შენ არ მითხარი: შეეერთდეთ
ჩემგან ელოდე შველასო,
გამოვაცოცხლებ შენს მამულს
მტერს მოგაშორებ ყველასო.
რა იქნა შენი აღთქმანი
მითხარი რა გააკეთე?!—
როცა სამართალს ვითხოვდი
კინაღამ თავი წამაკვეთე!
ხომ ხედავ ადარ ვეფფრთხივარ
არც მუქარასა და არც შიშს,—
რათ არ იცოდი, მტარვალო,
ბოლოს მოგთხოვდი ანგარიშს?!..

ᲠᲐᲤᲐᲔᲚᲘ ᲨᲣᲠᲓᲣᲚᲘ

ᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘ

ვზიავარ წყლის პირას
და გულს მიწყლავს მწარე ფიქრები.
ეფიქრობ: თუ რისთვის
დავიბადე ან რისთვის ვკვდები?!

რა არის კაცი?.. რისთვის ცოცხლობს
რათ იბადება?!
თუ კი უკვალოდ აღიგვება,
წავა, გაჰქრება?!..

ვზიავარ წყლის პირას
და შავ-ბნელი მწვავე ფიქრები
თავს მეკვლებიან ბედით-კოლსა
ნელ-ნელა ვქრები!..

Გ. ᲭᲐᲠᲑᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲙᲣᲚᲔᲚᲔᲑᲘ

ძილის პირი შემოსძახეთ
და უმდერეთ მკედარსა ნანა,—
ვინ გაბედავს სიცოცხლესა,
დაგვაჭირეს ყელში დანა,
თან სამარეს გვიმზადებენ
გარედან და შიგნიდანა.

იყავითო მთლად მუნჯები,
თორემ... მოდის ქიმუნჯები!..

იუდამ-კი აწ იხარის,
მის პარტია ძლიერია:
ძმა თავის ძმას ადარ ინდობს,
შური თვალში მოერია,
„ეს დრო იმ დროდ ადარ მოვა“,
ბეერს არ ახსოვს, რომ მტერია.
ამბობს: ვიყოთ ჩვენ მუნჯები,
თორემ... მოვა ქიმუნჯები...

შეეესწარი, ოჰ, რა დროსა.
ჯვარ-ხატები დამიტყვეეს,
გამიხურეს მაცხოვარი,
მოაზრენი „გამიძეეს,—
ეს ქეყანა ჯაგდათ სამეფოდ—
სასაფლაოდ გადმიქცეეს...
სჯობს იყენეთო თქვენ მუნჯები,
თორემ, მოვა ქიმუნჯები!..

ᲘᲖᲘᲫᲔ

* * *

ვიდრე კალამს ხელს მოვკიდებ,
ყველაფერი მაგონდება:
ტანჯულ ხალხის მწარე კვნესა,
„ცრემლი, ჩაგვრა, დამონება“!
მეზიზღება ჩვენი ტანჯვა,
ჩვენი ერის მწუხარება
იტანჯება ჩემი გული
მწარე ფიქრი თავს მეევლება!..
ვფიქრობ, ასე რათა ხდება,
რათ ინაგვრის ჩვენი ხალხი?
და რად გვაწევს კისერს ულლად
ტანჯვა, კვნესა და ვაგლახი?

Ს. ᲭᲐᲨᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲒᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ

1

საითაც ქარი დაჰქროლავს,
იქითკენ იცის ტრიალი,
საპირად-სუფროდ უშლია
წუთი სოფელი—ტიალი,
უყვარს ღვინის სმა, ლოთობა,
ქალების დევნა-ტრფიალი,
რჯულად და წესად მიჩნინს
უმიზნ-უაზროდ ყიალი!..

2

„ესდეკებში“ დასუნსულობს
უბით დაქვს: ღანძღვა-ჭორი,
რასაც დასწერს დაუბეჭდენ
ძიიელ სწყალობს რედაქტორი,
თუმც ზიზღს იწვევს და სიბრალულს
მის უბილო იუმორი,—
ყველას ჩირქს სცხებს, ესვრის ტლინკებს,
ეს მეხაშეთ ორატორი!..

3

მის ნაწერი და „ნაკოხნი“
ნიჩბითა მოსახვეტია,
გიჟთან ბრძენია, ნასწავლი,
ქკვიანთან სულელ-ცეტია,
შურ-ღვარძლიანი, უპირო,
ვერაგი მეტის-მეტია,—
ნუ თუ ვერ მიხვდით?.. „მათრახის“
კრიტიკოს—რეცენზეტია!..

4

სიტყვები უყვარს... მის „რეჩებს“
არა აქვს ბოლო და ზღვარი,
ზაფხულში უნდა გვიჭვენოს
რომ იდგეს, ვითომც ზამთარი.
„ვალიკოს“ წასვლით ცას ასწვდა...
მოაფეტა ბლომად ქანქარი,—
სულ „ფეხებს უფხანს“ უფროსებს
მოშლია რწმენის დავთარი!..

ᲘᲠ. ᲒᲘᲠᲒ.

ᲐᲜᲓᲠᲘᲐ ᲓᲔᲓᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲓᲔᲡᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲝᲑᲐ

(ᲞᲐᲡᲣᲮᲘ Ბ-Ნ ᲨᲘᲜᲐᲣᲠᲘᲡ*)

I

Ა. ამფიტეატროვი ერთ თავის ფელეტონში, სადაც შეეხება შემოქმედებას ლ. ანდრეევისა, სხვათა შორის ამბობს: —„ლ. ანდრეევი ისეთი მწერალია, როგორიც ზოგჯერ ფანტაისტურ კითხვებს აძლევს თავის თავს, მაგალითად ასეთს: „რა იქნებოდა, რომ სპილოები იჩიკებდენ კვერცხებიდან?“ და თავის ოცნებაში ისეთს ხელოვნებით და მიმზიდავის სახით აღწერს ამ კვერცხს, რომ მკითხველი ძალაუნებურად ემორჩილება ავტორის გატაცებას და მასთან ერთად ოცნებობს სპილოს კვერცხზე, რომელიღაც მოკოცეას „ახალი დაბადებულის ხორთუმი**). სწორედ ასეთი კითხვა დაუსვა მისმა ფართო ოცნებამ ბ-ნ შინაურს, როდესა მან ჩემი პირველი წერილი წაიკითხა „დროების“ რედაქციაში. მან შეეკითხა თავის თავს: „რა იქნებოდა მაშინ, თუ ბელქანიან გაამართო და მხარი დაუპირა თავის წერილში დგებუაძის ჭ. რ. კ შესასლასო. შემდეგ ასეთს ოცნებისა ბ-ნ შინაურმა მომახვია მე თავზე როლი ვეკილისა და მონათლა უკიდურესის ლანძღვა-გინებით, რომლის ბალიტი მას, როგორც სჩანს, ბლომად ქონია.

ლ. ანდრეევს თავის ფართო და ღრმა ოცნებით რომელიმე ფანტასტიურ კოთხვისაგან ძალუძს შექმნას რაიმე უკვდავი; ბ. შინაური კი, როგორადაც მოსალოდნელი იყო თავისის შორს მჭვრეტელი წარმოდგენით და ოცნებით არ წასულა შორს. ის უფრო მოგვგონებს დონ-კიხოტს, რომელიც თავისას მდიდარით, მაგრამ ავადმყოფი ოცნებით, ებრძოდა ქარის წყლქვილებს... დიახაც, როგორც ჭკვიანნი ამბობენ—„отъ великого до смѣшного—одинъ шагъ“. ბ-ნი შინაური ტუელად სცდილობდა დამტკიცებინა მკითხველი საზოგადოებისათვის, რომ მე არამც თუ ვიცავდ ბ. დგებუაძეს, ვამართლებდი კიდეც***). ვიმეორებ, რომ ეს მხოლოდ ბ-ნ შინაურის ავთმყოფი ფანტაზიის ნაყოფია და მეტი არაფერი. არსად ჩემს წერილში მე არც ვესაარჩლებოდი ა დგებუაძეს და არც ვამართლებდი. ჩემი მიზანი იყო მხოლოდ გამეცნო მკითხველი საზოგადოებისთვის საქმის ვითარება და აღენუსხე მიელდრებინი საზიზღარი მოქმედება ქართული „ზემლიაჩესტვოსი“. მე თვითვითხოვდი სამართალს ბ-ნ დგებუაძეზე, იმ სამართალს, რომლის ღირსი არ გახდა „ზემლიაჩესტვომ“ თავისი თანამემამულეზე. მე ვითხოვდი გამორკვეულიყო ბ-ნ დგებუაძის ფიზიონომია, რომელიც ბურუსით მოკრული მკითხველი საზოგადოებისთვის ქართულ „ზემლიაჩესტვოს“ წყალობით.

ლანძღვა-გინება კოკა წყალივით გადმოდის ბ-ნ შინაურს მნათე პირიდგან, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ვიქონიოთ მოთმინება და გაეიფვალისწინოთ მისი წერილი გაზ. „დროების“ 140 №-ში.

„ჩვენი დღეგანდელ გაზეთის ნომერში—ამბობს ბ-ნი შინაური,—დაბეჭდილია წერილი გიორგი ბელქანაისა, რომელიც მე უპრინციპობის და უკიდურეს გაკადნიერების ნიმუშად მიმაჩნია... მე მინდა მხოლოდ დავასურათო ის გახრწნილება,—განაგრძობს ბ-ნი შინაური,—

*) იხ. „დროება“ № 140.

**) მამუკვრ ზემორად.

***) Ужь тяжела ты, шапка Л. Андрева; ბ-ნ შინაურისთვის ხელმისაწვდომია უფრო დიდ ნაკეთოტის ფაზი.

რომელიც ბ-ნ ბელქანიას წერილი გამოსტეკილოო“. კეთილი და პატიოსანი! მაგრამ ოცტა ქვეეთი ჩვენ ნათლათ ვხედავთ თუ რა პრინციპის პატრონი ბრძანდებოო ოვით ბ-ნი შინაური, როდესაც ამბობს: „როგორ სწარმოუდგა დგებუაძის გასამართლებლის საქმე—ეს ჩვენ ნაკლებად გვაინტერესებსო,—განაგრძობს ბ-ნი შინაური,—ჩვენ ამ ადამდ მხოლოდ ფაქტი გვაინტერესებსო“ (ყურსიგი ჩვენია); ე. ი. თუ რაიმე ფაქტი ხელთ გვაქვს, ჩვენი პროკურორი, ბ. შინაური, შეუბრალებელია,—„ჯვარს აცვიან ბრალდებული“—გაჰკივის ის,... წარმოიდგინეთ, მკითხველო, რომ რომელიმე მკვლელობის ფაქტი ხელთ გვაქვს, მკვლელი შეპყრობილია. ცხადია ბ. შინაური როგორც ქართული „ზემლიაჩესტვო“, არც აქ მოუსმენს მკვლელს და თავის პრინციპის მიხედვით ჯალათს გარდასცემს. თვით ბ. შინაური ბრძანებს, რომ მას მხოლოდ ფაქტი აინტერესებს და არა საქმის ვითარება. მაგრამ, მოგეხსენებათ მკითხველო, რომ მხოლოდ საქმის ვითარების მიხედვით, რომელიც არ სწამთ არც ქართ. „ზემლიაჩ.“ გამგეობას და არც მის ეექილს, ბ. შინაურს, ჩვენი დრაკონის კანონებიც კი ამართლებენ მკვლელთ.

ბ. შინაურს პრინციპის წეერამდის აუავს გამოუძიებლად და უსამართლოთ დასჯა ადამიანისა; უკაეონებს და ღანძღავს უშეერის სიტყვებით მათ, ვინც ასეთ პრინციპს არ ემსახურება. ეს მან ნათლად დაგვანახა „დროების“ 140 №-ში. ყველას უფლება აქვს დაისახოს პრინციპათ რაც უნდა; ბ. შინაურსაც, რა საკვირველია, სრული ნება აქვს ეთაყვანოს ძალმომრეობას, მაგრამ მიშინ ამან არ უნდა იუცხოვოს ის ეპიტეტი, რომლებიც მან მე მითავაზა.

„განა შესაძლებელია შეეცდომით ჭ. რ. კაეშირის წევრად გახდომაო?“—უცხოობს ბ. შინაური. მე განმეორებთ გარწმუნებთ, რომ ეს ასეა და კიდევაც ვიტყვი, რომ დგებუაძე სრულებით არ ვარ ის ეკვლადა. ის მხოლოდ ავადმყოფი წევრია ქართულ „ზემლიაჩესტვოსი“. კეთხეული დამეთანხმება, რომ ავადმყოფს წამალი უნდა. ქართული „ზემლიაჩესტვო“ ვალდებული იყო მისი ავადმყოფ თანამემამულის ავთმყოფობის ნიადგი მოეწახა და თუ შეეძლო ეწამლა. მაგრამ, ხედავთ, როგორ არჩენს ქართული „ზემლიაჩესტვო“ და მისი ეექილი ბ. შინაური ავადმყოფ თანამემამულეს. ეს ახალ მოვლენილნი ესკულაპები გაუშინჯავად ჰკვეთვენ თავს თავის პაციენტს. საუცხოოა, საუცხოო! და მასთან ფრიად უბრალო საშუალება! მიუხედავათ ასეთის საუცხოო ზომებისა, არ ვურჩევ მკითხველ საზოგადოებას იაქიმოს ჩვენ ადგილელ ექიმებთან და აგრეთვე ბ. შინაურთან, თუ ის ექიმია.

„ვიღას ამტყუნებს ბ. ბელქანია? ქართველ სტუდენტებს? რა უფლებით? ნუ თუ იმიტომ რომ დგებუაძის ნამდვილი ფიზიონომია გამოირკვა?“—გასჭაეიის ბ. შინაური. ვესწრაფვი დავამშვიდო მისი ფრიად აშლილი ნერვები.—„Не зато бьютъ волка, что онъ—сѣръ, а зато, что онъ овцу съѣлъ“! მისთვის არ ვამტყუნებ მე ქართულ „ზემლიაჩესტვოს“, რომ მან დგებუაძის ნამდვილი ფიზიონომია გამოარკვია, არამედ მისთვის, რომ მან მოუსპო საფსარი დგებუაძეს თავის გამართლებისა; მან არამც თუ გაფანტა ის ბურუსი, რომელიც ეხვია ა. დგებუაძის პიროდობას, არამედ უფრო შეკმუშა იგი. აი რაზე იყო უკმაყოფილი ის ნაწილი ქართველ სტუდენტებისა, რომელიც ითხოვდა ამ საქმის ყოველ მხრივ განათლებას.

„ბ. ბელქანიაო—განაგრძობს ბ. შინაური,—რომ იდუმალი თანამგრძნობი არ ყოფილიყო კავშირისა, მაღლობას ეტყოდა იმ თავის ამხანაგებს, რომელთაც მასზე ადრე დაინახეს დგებუაძის ნამდვილი ფიზიონომია და მშრალზე გამოიყვანეს; ყველა ამის მაგივ ის საყვედურს უთვლის ქართველ სტუდენტებს“ და სხ. და სხ. გონს მოდით, ბ. შინაურო! ნუ სარგებლობთ მით, რომ ფურცლის გვერდი ყოველივეს ითმენს!

ან უნდა ქონდეს ადამიანს რაღაც განსაკუთრებული წყობილება მთელი ნერვების აპარატისა და თავის ტვინისა, ანდა უზრუნველი უნდა იყოს ბ. რედაქტორისაგან, რომ ის ბ. შინაურის ასეთ თავხედობის წინაღმდეგ არას დაბეჭდავს, რომ ასეთი სისულელე წამოროშოს!!

მგონი მე ნათლად ვამბობდი, რომ ნაწილი ქართველ სტუდენტებისა დაჯინ-

ბით ითხოვდა სამართალს, ითხოვდა ყოველმხრივ გამოაშკარავებას ა. დგებუაძის ბრალდებულებისა, მაგრამ „ზემლიაჩესტვომ“ და მისმა გამგეობამ პასუხის ღირსიც აღარ გახადა. ხომ ხედავთ ბ. შინაურო, რა მადლობის ღირსი ბრძანებულა გამგეობა!

„თუ ბ. ბელქანიამ ვისმეზე რამე იცოდა, სწერს ბ. შინაური პოსტსკრიპტუმის ბოლოში, იქ, ადესაშიგე უნდა გამგმხილაო; მაშინ უეჭველია, სტუდენტებიც რაიმე ზომას მიიღებდნენო“.

განა ქართულმა „ზემლიაჩესტვომ“ არ იცის რა ტიპია ბ. სვანიძე?! განა „ზემლიაჩესტვომ“ არ იცის რომ ერთი ქართველი სტუდენტი გვნ. დუმბაძეს სთხოვდა პროტექციას უნივერსიტეტში შესასვლელად. განა ქართულმა „ზემლიაჩესტვომ“ არ იცის, როგორ ვერაგულად და უპატიოსნო თამაშით გაკარკვეს 1907 წ. გემი „Св. Николай“-ზე ქართველმა სტუდენტებმა ჯნუ. ბ—ი?! განა ქართულმა „ზემლიაჩესტვომ“ არ იცის... მარა ეშმარ! განა ცოტა რამე იცის ქართულმა „ზემლიაჩესტვომ“, მაგრამ ჯერ-ჯერობით მჭერმეტყველურად ყურისობს.

მაგრამ თუ კი ვინმე იმისთანამ რაიმე ჩაიდინა, ვისი ფიზიონომია არ მოსწონს მას, მაშინ ქართული „ზემლიაჩესტვო“ აღიმართება მთელის თავის ბასრი იარაღით. ის შეეხვიჩაგდ ხელმძღვანელობს რომანულ იგავით:

„Quod licet jovi,
Non licet bovi!“

ხტ. გიორგი ბელქანია.

ანდრია დგებუაძე და ადესის ქართველი სტუდენტები.

(სტ. გედევან გაბუნიას წერილის ბამო„)

II

ჩემ პირველ წერილს („დროება“ № 40) ბ-ნი გედევან გაბუნიაც ძალიან აუღელვებია; ის კამთსაც აღარ ჰკადრულობს ჩემთან, და თუ პასუხს მაძლევს მხოლოდ იმიტომ, რომ მას სურს გაფანტოს ის ბუნესი, რომლითაც მოცულია ანდრია დგებუაძის საქმე. თავის წერილში ბ-ნი გედ. გაბუნია გვპირდება „ობიექტურად—მიუდგომლად“ გადასცეს მკითხველს ეს ამბავი, მაგრამ, როგორც მწვერა გამგეობისა, ის შესდგომია „ზემლიაჩ.“ გამგეობის მართლებას, და მასთან რასაკვირველია თავის თავისაც. ასე ბ-ნი გ. გაბუნია „ობიექტურად—მიუდგომლად“ იმართლეს თავს!!

„როდესაც სტუდენტმა იშოვნეს უტყუარი ფაქტი იმისი, რომ ანდრია დგებუაძე... ჩაწ.რილი იყო ქეშმარიტ რუსთა კაეშირში და რადესაც დაშეკიდან რომ დგებუაძემ ბატონიც კი დაიწყო ახლად ჩაშასულ ქართველ სტუდენტთა შორის, რომ ესენიც ჩაწერილიყვნენ კაეშირში, რადესაც ეკეფალფერი(?) ნათელად (?!) კაშმარკეკ.... (კურსივი ყველგან ჩემია) ქართველი „ზემლიაჩესტვოს“ სახელით გამოვიდა ფურცელი, სადაც ჩამოთვლილი იყო დგებუაძის საქმენი—საგმირონი და და გამოეცხადა მას ბოიკოტი“—ამბობს ბ-ნი გაბუნია.

რომ ბ-ნი დგებუაძე ჩაწერილიყო„ კ. რ. კაეშირში“ ამას არც მე უარეყოფდი ჩემ პირველ წერილში; მაგრამ რაც შეეხება დანარჩენს,—ბ-ნი გ. გაბუნიასი „უტყუარ ფაქტებს„,—ამაზე კი ახლა გვექნება ლაპარაკი..

გამოსულ ფურცლებში „ზემლიაჩ.“ გარდა შავ-რაზმელობისა ბ-ნ დგებუაძეს აბრალებდა ჯაშუშობას, კაცმკვლობას და კაეშარის სასოგადოდ ბატონის გაწყვეტას. ამ უკანასკნელ შუხლების შესახებ მე და სტ. მ. კ—ძეს 25 მარტს ვსთხოვეთ სტ. დიტო ჩიკვაიძის საშუალებით ქართველ „ზემლიაჩესტვოს“ გამგეობის წევრებს გადმოეცათ ჩვენთვის მათ მიერ შეგროვებული „უტყუარი ფაქტები.“ პასუხი როგორც იყო 5 აპრილი მივიღეთ. ამავე ბ-ნ დ. ჩიკვაიძემ გადმოგვცა ჩვენ შემდეგი: “ჩვენ (გამგეობის წევრებს) არ შეგვიძლია დაგისახელოთ ის პირები, რომლებმა ჩვენ გადმოგვცა ეს ფაქტებიო; გარდა ამი'ა ჩვენ (გამგეობას) არ ვვითქვამს, რომ დგებუაძე ნამდვილი ჯაშუშიაო.“ ასე რომ გამგეობამ არამც თუ ფაქტები აღარ გაგვაცნო, არამედ სიტყვა—ჯაშუშის გადაფუჩეჩებაც კი მოინდომა. არც იმ პირებზე მიგვითითა, რომლებს ა. დგებუაძემ ვითომდა კაეშირში ჩაწერა ურჩია. ჩემის აზრით უტყუარი ფაქტები დასამალავი არ უნდა ყოფილიყვნენ; ის თვით გამგეობას უნდა გამოექვეყნებინა, მაგრამ, როდესაც გამგეობას ეს ფაქტები შემოაკლდა, მან დეკ. პუროშკევიჩს მიბაძა—ჩვენ თუ ჩვენივე თანამემამულეს რაიში ვამტყუნებთ, ეს უსათოდ უფაქტოდაც დასაჯერებელიაო*). ეი ბ-ნო გაბუნია, თქვენი „უტყუარი ფაქტები.“ ერთი მითხარით ბ-ნო გედევან, —ჯაშუშობა, გამკვლობა, კაეშირის აგენტობა და სხვა, რომლებზედაც თქვენ ახლა კრინტსაც აღარ იღებთ, და რომლებიც მაშინ ამკობდნენ გამგეობის მიერ გამოკვეთილ ფურცლებს, ეს სიტყვები უფასო დამატება (безплатное приложеніе) იყო შავრაზმელობისა, არა?! რა გიულკეთილი ბრძანებულა„გამგეობა: სულ უფასოდ არიგებს ასეთ მარგალიტებს!.

ახლა დავანებოთ ამას თავი და ვილაპარაკოთ ისევ ბ. გაბუნიაზე.

„იმ დღესვე, რა დღესაც ფურცელი გამოვიდა,—განაგრძობს ბ. გაბუნია,—მოვიდა ჩემთან დგებუაძე და დიდათ აღელვებულის კილოთი მითხრა „...დანიშნონ ამხანაგებმა სამართალი და თავი გამამართლებინონო“. მეც დახმარება აღვუთქვი, მაგრამ ვისაც კი მივმართე, ყველამ ერთნაირი პასუხი მომცა: „თუ დგებუაძე თავს დამნაშავედ არა სცნობს, გამოაცხადოს კაზეოებში რომ მას ჯაშუშობაც რუსთა კაეშირთან არაფერი საერთო არა აქვს, შემდეგ ამხანაგები ვალდებულდა იქნებიან სახსამართლოში კაჭეკეონ„. შეც ასე გადაეცი დგებუაძესა.“

არ ვიცი, მკითხველო, რა უთხრეს ბ. გაბუნიას მისმა კოლლეგებმა (გამგეობის წევრებმა), მაგრამ ის კი დაწერილებით ვიცი, რაც ბ. გაბუნიამ გადასცა ა. დგებუაძეს: „გამგეობას არა სურს თქვენთან (ა. დგებუაძესთან) სასამართლოში გასვლა, და თუ თქვენ ეს მაინც-და-მაინც გინდათ, მაშინ კაზეოების საშუალებით გამოაცხადოს კაზეოებში რომ მას ჯაშუშობაც სასამართლოში.“ ეი გამგეობის პასუხი, რომელიც ბ. გაბუნიამ გადასცა ა. დგებუაძეს.

მოვაგონებ მკითხველს, რომ „ზემლ.“ გამგეობა არა ლეგალური და იმისი გამოწვევა საამხანაგო სამართალში ისიც გნ. ტოლმაროვის სამეფოში და ვაზეთების საშუალებით,—ამისთანა დიდებული აზრი მხოლოდ ქართვ. ზემლ.“ გამგეობას თუ მოუვიდოდა თავში. ასეთი პროვოკაციონური გზის თავიდან აცდენა მოინდომა ა. დგებუაძემ, და ის იყო რომ მისი მონდობილობით მე და ნ. წულეისკირს კვლავ გვკონდა მოლაპარაკება ბ. გ. გაბუნასთან; მაგრამ ამაოდ. გამგეობამ თავისი მაინც გაიყვანა, —მან აიძულა ბ. დგებუაძე nolens volens მიემართა პროფ. დისციპლინ. სასამართლოსთვის (იხ. ჩემი წერილი „დრ.“ №140).

Изъ двухъ зол. г. Дгебуадзе выбралъ—меньшее.

„ამით გათავდა ჩემი მისია დგებუაძესა და ქართ. სტუდენტებს და არა გამგეობის შორის, როგორაც ბრძანებს ბ. ბელქანია, როდესაც ამბობს, ვითომ დგებუაძეს ჩემი (გაბუნიას) საშუალებით ჰქონდა მოლაპარაკება გამგეობასთანაო. მე ველაპარაკებოდი დგებუაძეს ქართველ სტუდენტების სახელითო“—გვარწმუნებს ბ. გ. გაბუნია.

აქ ამოწერილი ციტატა თავიდან ბოლომდე სიმართლეს მოკლებულია! 1) ა. დგებუაძემ მიმართა ბ. გაბუნიას თხოვნით ნასაღილევს და პასუხი მიიღო იმავე საღამოს. საკვირველია, როგორ მოახერხა ბ. გაბუნიამ„ყველა ქართველ სტუდენტ. პასუხის მიღება 4—5 საათის განმავლობაში, როდესაც ქ. ადესაში ქართველ სტუდენტების რიცხვი 300 კაცს აღემატება?! 2),—ნუ თუ ბ. გაბუნიას დავიწყდა მე რომ მქონდა მასთან, რაგორც გამგეობის წევრთან, მოლაპარაკება ამ საქმის შესახებ?

აქ მოვაგონებ ბ. გ. გაბუნიას სხვათა შორის ზოგიერთ მის სიტყვებს. როდესაც მე ვკითხე ბ. გაბუნიას: „გედევან, რა სინდისმა გიქნახ შენ რომ დასთანხმდი გამგეობის ამისთანა გადაწყვეტილებას ბრალდებული დაუკითხავად, მეტადრე მაშინ, როდესაც ბ დგებუაძემ (მიტო ჯავახიშვილის საშუალებით) წინადადება მისცა გამგეობას მიეცათ მისთვის (დგებუაძისთვის) საშუალება აღეარებინა მისი ცოდვები თქვენ წინაშე“—? მეთქი; ბ. გაბუნიამ მიპასუხა: „გაძლევ პატიოსან სიტყვას კოგრი, რომ ა. დგებუაძეს წინადადებაზე მე მხოლოდ რეზოლიუციის გამოტანის შემდეგ შევიტყეთო.“ მომეჯავს ეხ სიტყვები ზეპირად. ესე იგი, ა. დგებუაძის წინადადების შინაარსი ბ. გაბუნიას უფრო ადრე რომ სცოდნოდა, ის არასოდეს არ დაეთანხმებოდა გამგეობას. აი რით ამართლებდა თავს მაშინ ბ. გ. გაბუნია. მაშა სადამე ბ. გაბუნია ფიზიონომ სცნობდა, რომ კაჭეგობამ, რომლის მწვერი ბრძანდება ბ. გაბუნია (და არა ქართველ სტუდენტებმა, როგორაც ბრძანებს თავის წერილში იგი ბ. გაბუნია) ძალ ეფადა მოექცა ა. დგებუაძეს. თუ ეს ასეა, რამ აიძულა ახლა ბ. გაბუნია გაზეთში ემართლებინა ქ. „ზემლიაჩ.“ გამგეობის საქციელი? ნუ თუ სიმართლის თქმისა შეეშინდა?!

გამოტყდი ბ. გედევან; იქონიეთ მოქალაქეობრივი სიმამაცე, ნუ შეეშინდებით სიმართლეს! ნუ გამამართლებთ ჩვენ დაბალ საზოგადოებაში გავრცელებულ აზრს იურისტებზე:—„ადვოკატებმა ტყუილის მეტი არაფერი იციანონ“! ნუ ეჩვეეთო სიცრუეს პირველ კურსიდანვე!

— შემდეგ ამისა ბ. გაბუნია თავის წერილში იხსენიებს პროფ. დისციპლ. სასამართლოსა საქმის გარჩევას და იქიდან სრულიად უმნიშვნელო საგნით,—ნამდვილი სტუდენტია ბ. დგებუაძე თუ თავისუფალი მსმენელიო,—მთელი 16 სტრიქონი არის გაპიმული, თითქოს ამაზე მეტი საინტერესო იქ არაფერი ყოფილიყოს. ბოლოს კი ბ. გ. გაბუნიას მოყავს ჩემი სიტყვები: „ა. დგებუაძე თავის ჩვენებით ხელს უწყობდა ყველასი გამართლებასო“ და დასძენს: „ესიც სიცრუეა. დგებუაძემ პირდაპირ დაადო ხელი ოთხს და სთქვა, ესენი არიან ავტორები ამ ფურცლისაო, დანარჩენები კი ამ ფურცლის შედგენასა და გავრცელებაში იღებენენ მონაწილეობასაო, და მოითხოვა ყველანი დასაჯათო.“ ერთი ბათომის ხმოსნის სიტყვის არ იყოს, ფაქტ г. Габунія „черезчуръ исковеркалъ немножко.“ როგორც თვით ბ. გაბუნია ბრძანებს თავის წერილში, ფურცლები გამოვიდა „ზემლიაჩესტვოსი“ სახელით. დისციპლინ. სასამართლოში კი ბ. დგებუაძე გადაჭრით ამტკიცებდა რომ ადესაში ქართველ სტუდენტების ზემლიაჩესტო არ არსებობსო. მართლია ა. დგებუაძემ განაცხადა,— მე მგონია ესენი უნდა იყვნენ ფურცლის ავტორები და გამავრცელეველნო, მაგრამ ამისთანა განცხადება მას სრულიად არ დაუსაბუთებია. რა საკვირველია უსაბუთო ჩვენებას ყური არავინ უგდო, და საქმეც შედარებით ადვილად გათავდა. რაო დაადო ხელი ა. დგებუაძემ ყველას? იმით რომ შოიოხოვა ყველა დასაჯათ? და თუ ამისთანა ჩვენების შემდეგაც პროფ. დისციპლინ. სასამართლომ მაინც შენიშვნა მისცა ექვს კაცს, ადვილი წარმისადგენია, რით უნდა გათავებულიყო ეს საქმე, ბ. დგებუაძეს რომ ნდომობდა ვინმესგთვის ზიანის მიყენება. ვეთანხმები ბ. გ. გაბუნიას, რომ პროფ. დისციპლინ. სასამართლოს არავინა ჩირქის ჩამორეცხა არ შეუძლიან. მაგრამ რა ექნა მაშინ ა. დგებუაძეს, როდესაც მას „ზემლიაჩესტვომ“ მოუსპო ყოველივე საშიალება თავის გამართლებისა?

რათ უარყო გამგეობამ საამხანაგო სასამართლო?! ახირებული ხალხია თქვენ-მა მზემ! “უტყუარი ფაქტები„ ბევრი აქვთ,—გამოქვეყნებისა კი ეშინიან; გაგლანძღავენ, თავს მოგკრიან,—სასამართლოში არ გაგაყვანან; ბრალდებულს დაუკითხავად (заочно) ასამართლებენ, —და თუ ვინმეს ეს არ მოეწონა და „პროტესტი„ გამოაცხადა,—შავრაზმელად მონათლავენ... აი თუ გინდათ სამართალი და მოსამართლეებიც! „Избави Богъ васъ, читатель, отъ этакихъ судей!“

დასასრულ აი რა მოგახსენოთ ბ. გაბუნია თქვენ, „ზემლიაჩ.“ გამგეობას და ყველა თქვენი თანამოაზრეებს: რამოდენიც გინდა ფაქტები ამახინჯოთ, როგორაც გინდა ილანძღოთ და იგინოთ გაზეთების ფურცლებზე, *) რამოდენიც გნებავთ ბოიკოტი და ზიზღი მიცხადოთ, —მე დარწმუნებული ვარ რომ ჩვენ (მე და იმ 2—3 ამხანაგებმა, რომლებიც თქვენ განკიცხეთ) ისე მოვიქეცით, როგორც უნდა მოქცეულიყო ყოველ პატიოსანი ადამიანი ჩვენს ადგილას. ჩვენ გაუწიეთ დახმარების ხელი ტალახში ჩაფლულ თანამემამულეს მაშინ, როდესაც თქვენ, ბატონებო, ქვეები დაუშინეთ მას.

*) როგორც შობა ბაზ. „ვარსკვლავის“ თანამშრომელი ბ. „ვინმე“ და ბ. შინაური („დროება“ № 14„).

მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მიუდგომელი მკითხველი ღირსეულადაც მონათლავს ამ ვაუბატონების საქციელს.

sapienti sat!

ხტ. გიორგი ბელქანია

რედაქტორ-გამომცემელი
კ. ხერხეულიძე

განცხადებანი

მუქთად საკოსტიუმე

საქონლების ნიმუშებს და პრეის-კურანტს (60 გვ.), რომელშიაც მოთავსებულია შრავალი უკანასკნელ მოდების, საცვლის, ფეხსაცმელის და შინაურ მოწყობილების სურათი ვუგზავნი მსურველთა **უფასოდ**! მოიკითხეთ შემდეგ ადრესით: М. А. Бабушкинъ. Лодзь მიწერ-მოწერა რუსულად და გერმანულად № 48826.

№ 51. 3—2

!უფრო იაფად არ შეიძლება!

2 ᲛᲐ. 75 კ.

ეგზავნი მაუდის ნაჭერს „ტრიუმფ“ 4 ნახევ. არშ. მთელი საკოსტიუმეს კაცისთვის. დიდ სიიაფის მიუხედავად, მატერია „ტრიუმფი“ შალის არის და არა ბამბის და საუკეთესო თვისებისა არის — მეტად გამძლეა, კარგი სახმარი და შნოიანია. ფერები: შავი, ლურჯი, მიხაკის ფერი და ზეთის ხილის ფერი. გასაგზავნი ხარჯი 55 კ. ვინც 3 ან მეტ ნაჭერს გამოიწერს გასაგზავნი ფული არ გადახდება: ადრესი: Зигмунту Розенталь гор. Лодзь. მიწერ-მოწერა რუსულად № 47934. № 877.

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად ახალი

ᲩᲐᲜᲒᲘ

წიგნი დიდი ზომისაა (500 გვერდი). დაკაზმულია ძვირფასი ყდით და ღირს მხოლოდ 1 მ. 30 კ. წიგნში მოთავსებულია სცენები, ლექსები, სასიმღეროდ საოხუნჯო კუპლეტები, დრამატიული თხზულებანი და სხ. ჩვენი საუკეთესო ძველ და ახალგაზდა მწერლებისა. წიგნს ჩართული აქვს ქართველ მწერლების და მსახიობების 60 სურათი. წიგნით მოვაკრეფეს %% დაეთმობათ. ვინც ფოსტით გამოიწერს და 1 მან. 30 კაპ. ფულათ ან მარკას გამოგზავნის მას გასაგზავნი ფული აღარ გადახდება.

ადრესი: Тифлисъ. т-ко Сорапань. М. Гачечиладзе.

ЯАND РЯIX

1870 წ. პარიზი 1900 წ. 1882 წ.

1865 წ. ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲐᲖᲔ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ 1896 წ.

ᲒᲐᲚᲝᲨᲔᲑᲘ

ᲡᲐᲛ ᲙᲣᲗᲮᲔᲓᲘᲗ

1860.
T.P.A.P.M.
С.ПЕТЕРБУРГЪ.

რუსეთ-ამერიკის სარეზინომ ანუ ფაქტორიის ამხანაგობა

ᲐᲛ ᲤᲘᲠᲛᲘᲗ „ᲢᲠᲔᲣᲒᲝᲚᲬᲘᲙᲘ“

Ს.-ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲨᲘ

სრული პასუხის-მგებლობა საქონლის სიკეთისა.

ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ

*) ოზუბოვის ქარხანაში ცეცხლის გაჩენის შესახებ, დეკ. პუროშკევიჩმ სთქვა სახ. სათათბიროში: „მე თუ რამე ვსთქვი მთავრობის წინააღმდეგ, ეს უსათოდ დასაჯერებელია.“

*) იხ. „დროება“ №№ 147 და 148.